




Grundierung für Holz

ხის საგრუნტავი

თხელფენიანი საგრუნტავი, დაუმუშავებელი ხისთვის გარე სამუშაოებისას. ასევე გარე ფანჯრების და კარების ორმხრივი დაუმუშავებისათვის. შესანიშნავად ინარჩუნებს ხის ფაქტურას. ამცირებს ხავსის და სოკოს გაჩენის რისკს. ქმნის ხანგრძლივად ძლიერ დამცავ დანაფარებს.



ColorMix

პროდუქტის აღწერა

შეფუთვის ზომები:

0,75ლ ; 2,5ლ; 10ლ

პროდუქტის უპირატესობები:

ქმნის ხანგრძლივად მყარ დანაფარებს ამცირებს ხავსის და სოკოს გაჩენის რისკს იდეალურად ინარჩუნებს ხის ფაქტურას

თვისებები:

პროდუქტს გააჩნია წყალამრიდი თვისებები, რის გამოც მცირდება ხავსის და სოკოს გაჩენის რისკი. გააჩნია სუსტი არომატი დატანის და შრობისას.

შესაფერისი ზედაპირები:

ახალი დაუმუშავებელი ხე. ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და გამყოფი ნივთიერებებისგან (ცხიმი) თავისუფალი. დაგრუნტვისას ხის ნესტიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12%-15% -ს.

ფერი / შეფერადება:

გამჭირვალე შეფერადება შესაძლებელია ColorMix-ის აპარატის მეშვეობით, ხის ტონალობებში.

სიბრიალის ხარისხი:

მქრქალი.

ხელსაწყოები / ტემპერატურა:

დაიტანეთ ფუნჯით, ისე რომ ხის ზედაპირი საგულდაგულოდ გაიჟღინთოს. არ შეიძლება მიფრქვევა. გამოიყენეთ პროდუქტი არანაკლებ 5°C ტემპერატურისას (ჰაერი და ზედაპირი). გამოყენების შემდეგ იარაღები გაასუფთავეთ გამხსნელი - უაით სპირით-თ.

შრობის დრო / გამოყენების პირობები:

+20°C ტემპერატურისა და 65% ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 2 საათის შემდეგ, 8 საათის შემდეგ შეიძლება შემდეგი პროდუქტის დატანა.

დატანის მეთოდები / ხარჯი:

ხის ზედაპირი საფუძვლიანად გაინჟინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). ზედაპირი უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიურობის ხელის შემშლელი ნივთიერებებისგან. დაიტანეთ პროდუქტი ფუნჯით არანაკლებ 5°C ტემპერატურისას (ჰაერი და ზედაპირი). ხის ზედაპირი საფუძვლიანად უნდა გაიჟღინთოს.საჭიროების შემთხვევაში დაიტანეთ საგრუნტავი 2 ფენად „სველით-სველზე“ მეთოდით. ხარჯი: დაახლ. 100მლ/მ2 ერთი ფენა.

დაფარვის სტრუქტურა / გაზაფხა:

საგრუნტი ფენა:
Alpina Grundierung für Holz გაუზაფხებელი.
შუალედური და საბოლოო ფენა:
შესაფერისი პროდუქტი Alpina-ს ასორტიმენტიდან.

შემადგენლობა:

აკრილის ფისი, უაით სპირიტი, დანამატები.



Möbel

ზედაპირის მომზადება

ზედაპირის მომზადება:

მოაშორეთ ზედაპირს ქუჭყი და გამყოფი ნივთიერებები (ცხიმი). საჭიროების შემთხვევაში ზედაპირი უნდა გაიშლიფოს. მოაშორეთ მტვერი. განაცრისფრებული, ამინდისგან გამომშრალი ხე გაიშლიფოს ჯანმრთელ, მზიდუნარიან ზედაპირამდე და საფუძვლიანად გაინმინდოს.

ზედაპირები არამზიდი დანაფარებით

არამზიდი ლაქების და ემალების დანაფარები სრულად მოაშორეთ ზედაპირს.

ზედაპირი	დანიშნულება	ზედაპირის მომზადება	დაგრუნტვა	შუალედური ფენა	დამასრულებელი ფენა
ხე, ხის მასალები	ინტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს	Alpina Möbel, 10-15%-ით გაზავებული	Alpina Möbel	Alpina Möbel
	ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს	Alpina Grundierung für Holz	Alpina Möbel	Alpina Möbel
ძველი მზიდი დანაფარი	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს ცარცვადი ნვთიერებები მოშორდეს	გამზადდეს და ზედაპირის მიხედვით გრუნტით გამოსწორდეს დეფექტები	Alpina Möbel	Alpina Möbel

ხარჯი

დატანა	ფუნჯით	გორგოლაჭით	მიფრქვევით
მლ/მ ²	80-90	90-100	100

დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. შეფრქვევით დამუშავებისას არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ღრუბელი. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი".

უტილიზაცია:

საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას არანაკლებ +5°C და არა უმეტეს +20°C ტემპურატურაზე. ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 5 წლის განმავლობაში.

**ტექნიკური ინფორმაცია №430
2018 წლის მარტის მდგომარეობით**

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.



შპს „კაპაროლ ჯორჯია“ ფირმათა ჯგუფ DAW-ს სანარმო ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო, ტელ: +995 790 803337, ელ-ფოსტა: office@caparol.ge